სარდაფის კედლები აგებულია რიყის ქვით. ღიობების გვერდები თლილი ქვისაა იატაკი და კიბე ბეტონშია ჩამოსხმული. სარდაფის იატაკი გადალესილია ცემენტით. კედლები ინტერიერში გალესილია ცემენტის ხსნარით. სარდაფის კედლები ინტერიერში შეღებილი ყოფილა, თავდაპირველი საღებავი ფრაგმენტულად იკითხება. ექსტერიერში სარდაფის კედლები შეღებილია ზეთოვანი საღებავით (რეაბილიტაციის პროექტში უნდა დაზუსტდეს აუთენტური საღებავის შემადგენლობა და ფერი). სარდაფი გადახურულია ხის კონსტრუქციით (ხის კოჭებზე დალაგებული ფიცარი). გადახურვის კონსტრუქციის გასაძლიერებლად (მაგ. მარნის სათავსოში), დამატებით გადებულია, ფოლადის ცილინდრულ სვეტებზე დაყრდნობილი, ხის კოჭი. სარდაფის აუთენტურ სავენტილაციო სარკმლების ხის ჩარჩოებში, ფოლადის ცხაურია (ფოლადის ღეროები კვადრატული პროფილის) ჩასმული. ერთ-ერთ სათავსოში შემორჩენილია ყრუ ხის კარის ერთი ფრთა, ეტყობა სხვა ღიობებშიც ანალოგიური კარები იყო შეკიდული.

სახლის მთავარი, სამხრეთი ფასადის პორტალი და მანსარდის აივნის მოაჯირი აგებულია ქვაში. პორტალის ხვეული კიბე, რომლითაც პირველი სართულის აივანზე ავდივართ, ბეტონშია ჩამოსხმული. ანალოგიურ მასალაშია დასავლეთის კიბეც.

პირველი სართული აგებულია მაგარი მერქნის ხით. ფასადები შეღებილია (ფასადები თავიდანვე შეღებლი ყოფილა. თავდაპირველი ფერის დადგენა შესაძლებელია პიგმენტის ლაბორატორიული კვლევის შემდგომ).

მთავარი ფასადის არქიტექტურას ხაზს უსვამს სამხრეთის ხის აივანი

პირველი სართულის ანალოგიური სამშენებლო მასალა და ტექნოლოგიაა გამოყენებული მანსარდის სართულის ფასადებზე.

სახლის კარ-ფანჯარა, რომლებიც აუთენტურია, ხისაა, თუმცა დრომ და უხარისხო რემონტმა შელახა კარ-ფანჯარის მხატვრული სახე.

სახლი გადახურულია ხის კონსტრუქციაზე მოწყობილი ბრტყელი კრამიტის ბურულით, რომელიც თავდაპირველი, „მარსელის“ კრამიტის მსგავსია (კრამიტი რემონტის შემდეგ გამოუცვლიათ). სახურავის არქიტექტურაში მოდერნისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-ესთეტიკური ხერხია გამოყენებული, სახურავი კედლებიდან დიდი ნაშევრით გადმოდის და ქვევიდან ხის კონსოლებსა და კრონშტეინებს ეყრდნობა.

ინტერიერში კედლები და ტიხრები ხისაა და შეღესილია ალუბასტრით. კედლები შეღებილია ემულსიური საღებავით (ბოლო პერიოდის რემონტისას). (რეაბილიტაციის პროექტში უნდა დაზუსტდეს კედლების ზედაპირის აუთენტური მოპირკეთების მასალა).

ოთახების კარები აუთენტურია, თუმცა უხარისხო რემონტების შედეგად შელახულია მათი მხატვრული სახე.

სართულშუა გადახურვები მოწყობილია ხის კონსტრუქციით (ხის კოჭებზე დაკრული ფიცარი). როგორც ზევით აღვნიშნეთ ხის კონსტრუქცია (განსაკუთრებით გადახურვის კოჭები. კოჭები ქვევიდან გაშიშვლებულია შუშაბანდისა და პორტალის ნაწილში) ზოგიერთ ადგილას დაჭიანებულია

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. სარდაფის კედლებზე ზემოქმედებს ზედაპირული წყლები. ნალექების ზეგავლენა დიდია, იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი ჭარბნალექიან კლიმატურ ზონაშია. სარდაფის კედლებში შეინიშნება ჭარბი ტენიანობა, ნალესობის დაბზარვა, ლიქენები და სხვ.
არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ვფიქრობთ საჭიროა სახლის გარე პერიმეტრზე სადრენაჟო არხის მოწყობა და ნაჟური წყლის კედლებიდან აცილება. სარდაფის კედლები გარედან უნდა დამუშავდეს ჰიდროიზოლაციით.
წყალი აზიანებს სარდაფის ბეტონის იატაკს. შენობიდან წყლის აცილების შემდგომ სასურველია ფილის ჰიდროფობიზაცია და გამოსრობის პროცესის რეგულირება.
რეაბილიტაციის აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდგომ კედლებისა და იატაკის დამუშავება და მოპირკეთება (იხ. სპეციფიკაცია პპ. 4, 23, 24)
2. ფასადის ხის კედლები დაზიანებულია. ხე ეროზირებულია. განსაკუთრებით ძლიერია დაზიანებები ცოკოლის პერიმეტრზე, იქ, სადაც ნალექის ზეგავლენა უფრო ინტენსიურია. ფასადებზე დამცავი საღებავის ფენა დაზიანებულია. საჭიროა ხის ზედაპირის რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია 1 პუნქტში
3. სახლის ქვის შეღებილი კედლები საჭიროა დამუშავდეს 2 პუნქტის შესაბამისად
4. სახლის კრამიტის საბურველი ხავსითა და მიკროორგანიზმებით არის დაფარული, ეს ორგანიზმები აზიანებს კრამიტის საფარს, ქმნიან რა კრამიტის დაძვრის და ნალექის შენობაში ჩადინების წინაპირობას. აუცილებელია კრამიტის ზედაპირის დამუშავება (პ. 3) და შემდგომ, ანალოგიური ღონისძიების გატარება გარკვეული პერიოდულობით.
5. დაზიანებულია მანსარდის სახურავში მოწყობილი დღის განათების ფარნების იზოლაცია, რის გამოც ნალექები აღწევს შენობაში. აუცილებელია ფარნების რესტავრაცია
6. სახურავის კონსტრუქციების ექსპლუატაციის გახანგრძლივებისა და გაჯანსაღების მიზნით აუცილებელია პ. 27 მოცემული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება
7. სარეაბილიტაციო წინადადება მოიცავს ბეტონის კიბეების გამაგრება-კონსერვაციის მოსაზრებას კიბის საფეხურების ჰიდროფობიზაციით პ. 5
8. სარეაბილიტაციო წინადადება მოიცავს სამხრეთის ხის აივნის ქვის სვეტების სარეაბილიტაციო წინადადებას პ. 6

9. საჭიროა ჩრდილოეთის ლითონის აიენის რესტავრაცია პ. 22
10. ჭარბმა ტენიანობამ გამოიწვია სარდაფის ფოლადის სვეტების კოროზია. პ. 25 მოცემულია ფოლადის კოროზიის შეჩერების და სვეტების რეაბილიტაციის წინადადება
11. შენობის არქიტექტურული ელემენტების აღდგენის წინადადებები იხ. პპ. 8, 9
12. სარეაბილიტაციო პროექტში დამუშავდება სახლის შიდა საინჟინრო კომუნიკაციები, კერძოდ: სარდაფის ელ მომარაგების, საექსპოზიციო სივრცის კონდიციონებისა და გათბობის, საექსპოზიციო მასალის განათების პროექტები
13. სასურველია ინტერიერის ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოების ჩატარება (ინტერიერი რამდენიმე წლის წინ გაურემონტებიათ), კერძოდ: კარ-ფანჯრის გარემონტება. კარ-ფანჯრის ზედაპირიდან გვიანი საღებავის ფენების მოხსნა, აუთენტური სახის აღდგენა და შეღებვა

მარანი (დღევანდელი ადმინისტრაციის შენობა)

არსებული მდგომარეობის აღწერა

დღეს მარნის რამდენიმე სათავსოში მუზეუმის ადმინისტრაციაა განთავსებული. მარანი სახლ-მუზეუმის ჩრდილოეთითაა. ეს არის გეგმაში მართკუთხა ფორმის ერთსართულიანი ნაგებობა, წინა ნაწილში ხის სვეტებით გაწყობილი ლოჯიის ტიპის სივრცით. ლოჯიას ორივე მხარეს (დასავლეთით და აღმოსავლეთით) ემიჯნება ორი მცირე ზომის სათავსო. შიდა სივრცეში ოთხი სხვადასხვა ზომის ოთახია, თუმცა გვიან მარანი რეკონსტრუირებულია, შეცვლილია გეგმარება, ამდენად ოთახების განლაგება არ არის თავდაპირველი.

შენობის ყველაზე მოზრდილი ნაწილი მოიცავს ე.წ. საწნახელის ოთახს, სადაც დგას ყურძნის საწური და ხის საწნახელი. ოთახის იატაკი ბეტონისაა და მოლესილია ცემენტის ხსნარით.

სხვა ოთახები, რომლებშიც დღეს მუზეუმის ადმინისტრაციაა განლაგებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიანი რეკონსტრუქციის შედეგია. პირვანდელი გეგმარების აღდგენისათვის საჭიროა შენობის არქეოლოგიურ-არქიტექტურული გამოკვლევის ჩატარება.

მარნის სხვენის ნაწილში სამეურნეო სივრცეა, რომელიც ფრონტონებიდან განათებულია თითო სარკმლით.

შენობა გადახურულია ორფერდა სახურავით.

სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია

მარანი აგებულია ქვის საფუძველზე, რომელიც გარედან გალესილია ცემენტის ხსნარით. თვით შენობა მთლიანად ხისაა (ფასადები, შიდა ტიხრები, ლოჯიის სვეტები, სახურავის კონსტრუქცია). ფასადები და ლოჯიის სვეტები შეღებილია (ფასადები თავიდანვე შეღებლი ყოფილა. თავდაპირველი ფერის დადგენა შესაძლებელია პიგმენტის ლაბორატორიული კვლევის შემდგომ).

ლოჯიის იატაკი ბეტონისაა მოლესილი ცემენტის ხსნარით. სავარაუდოდ იატაკის ფენილი გვიანი შეკეთების პერიოდს განეკუთვნება, ამას გვაფიქრებინებს ბეტონის აუტენტურისაგან (აუტენტური ბეტონის იატაკი საწნახელის ოთახშია შემორჩენილი) განსხვავებული ტექსტურა. თუმცა ლოჯიის იატაკი თავდაპირველადაც ბეტონის უნდა ყოფილიყო.

მარნის შიდა სივრცეში იატაკი მთლიანად ბეტონის უნდა ყოფილიყო. დღეს ადმინისტრაციის ოთახების იატაკები ფიცრითაა მოწყობილი და არ ჩანს ძველი იატაკი (რეაბილიტაციის პროექტში, ფიცრული იატაკის გახსნის შემდგომ, დაზუსტდება პირველადი იატაკის კონსტრუქცია)

აუტენტური ბეტონის იატაკი საწნახელის ოთახშია შემორჩენილი. ბეტონის ფილა გადალესილია ცემენტის (მორკინვის ტექნოლოგიით) ხსნარით.

მარნის შიდა ტიხრები ხის კონსტრუქციაზე შეკიდული ფანერის („დსპ“) პანელებითაა მოპირკეთებული. ტიხრები გვიანი რეკონსტრუქციების პერიოდისაა.

შენობის სახურავი კრამიტისაა (დღევანდელი კრამიტის ფენილი რემონტის პერიოდისაა), რომელიც თავდაპირველი „მარსელის“ კრამიტის მსგავსია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. შენობის საძირკველზე ზემოქმედებს ზედაპირული წყლები. ნალექების ზეგავლენა დიდია, იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი ჭარბნალექიან კლიმატურ ზონაშია. საფუძველზე შეინიშნება ჭარბი ტენიანობა, ნალესობის დაბზარვა, ლიქენები და სხვ.
არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ვფიქრობთ საჭიროა მარნის გარე პერიმეტრზე სადრენაჟო არხის მოწყობა და ნაჟური წყლის კედლებიდან აცილება. საძირკველი გარედან უნდა დამუშავდეს ჰიდროიზოლაციით.
წყალი აზიანებს ბეტონის იატაკს. შენობიდან წყლის აცილების შემდგომ სასურველია ფილის ჰიდროფობიზაცია და გამომშრობის პროცესის რეგულირება. რეაბილიტაციის აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდგომ იატაკის დამუშავება და მოპირკეთება (იხ. სპეციფიკაცია პ. 10)
2. ფასადის ხის კედლები დაზიანებულია. ხე ეროზირებულია. განსაკუთრებით ძლიერია დაზიანებები საფუძველთან ხის შეხების ადგილას შენობის მთელ პერიმეტრზე, იქ სადაც ნალექის ზეგავლენა უფრო ინტენსიურია. ფასადებზე დამცავი საღებავის ფენა დაზიანებულია. საჭიროა ხის ზედაპირის რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია 1 პუნქტში
3. მარნის კრამიტის საბურველი ხავსითა და მიკროორგანიზმებით არის დაფარული, ეს ორგანიზმები აზიანებს კრამიტის საფარს, ქმნიან რა კრამიტის დაძვრის და ნალექის შენობაში ჩადინების წინაპირობას. აუცილებელია კრამიტის ზედაპირის დამუშავება (პ. 3) და შემდგომ, ანალოგიური ღონისძიების გატარება გარკვეული პერიოდულობით.

4. სახურავის კონსტრუქციების ექსპლუატაციის გახანგრძლივებისა და გაჯანსაღების მიზნით აუცილებელია პ. 27 მოცემული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება
5. სარეაბილიტაციო პროექტში დამუშავდება მარნის შიდა საინჟინრო კომუნიკაციები, კერძოდ: ელ მომარაგების, კონდიციონერების, გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტები.
6. ვფიქრობთ შენობაში შეიძლება იფუნქციონიროს მუზეუმის ადმინისტრაციამ და ვიზიტორთა მისაღებმა. ამისათვის აუცილებელია შენობის თავიდან დაგეგმარება, ძველი გეგმარების და თავდაპირველად გამოყენებული სამშენებლო მასალების მაქსიმალურად აღდგენის გათვალისწინებით.

საჯინიბო

არსებული მდგომარეობის აღწერა

საჯინიბო მუზეუმის ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილშია განთავსებული. გეგმაში ის მოგრძო მართკუთხა მოყვანილობისაა. სამხრეთი ფასადის გალერეას, მთელ სიგრძეზე, ხის ერთ რიგად განლაგებული კოლონადა მიუყვება.

შენობა ერთსართულიანია, მაღალი სხეულით.

საჯინიბოს შიდა სივრცე დღეს განივი ღერძების მიმართულებით რამდენიმე ადგილას გატიხრულია და დაყოფილია ოთახებად (თავდაპირველად ერთი მთლიანი სივრცე უნდა ყოფილიყო).

სხეული, რომელშიც დასავლეთის ფასადზე მიდგმული ხის კიბით ავლივართ, თივის შესანახად გამოიყენებოდა.

სამხრეთის ფასადზე განთავსებულია ფრამუგები და რამდენიმე კარი. ფრამუგის ღიობები თავდაპირველია, ხოლო კარებები გვიან უნდა იყოს მოწყობილი (შენობას კარი დასავლეთის ფასადზე ექნებოდა).

ჩრდილოეთის ფასადზე, სამხრეთის ანალოგიურად, ფრამუგებია განთავსებული.

სხეულის ორივე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტონებზე, მოზრდილი ზომის წყვილი სარკმელია.

შენობა გადახურულია ორფერდა სახურავით.

სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია

საჯინიბო აგებულია ქვის საფუძველზე, რომელიც გარედან გალესილია ცემენტის ხსნარით. თვით შენობა მთლიანად ხისაა (ფასადები, გალერეის სვეტები, სახურავის კონსტრუქცია). ფასადების ხის კონსტრუქციაზე გადაკრულია ტკეჩი და შემდგომ გალესილია ცემენტის ხსნარით (მოპირკეთების ფენა აუთენტური უნდა იყოს და საჯინიბოს დათბუნებისთვის არის გაკეთებული).

ფასადების ზედაპირი შეღებილი იყო (რეაბილიტაციის პროექტში, პიგმენტის ლაბორატორიული ანალიზით, დაზუსტდება აუთენტური საღებავის შემადგენლობა და ფერი).

სამხრეთის ფასადი გვიან მოუპირკეთებიათ ფანერით („დსპ“). თავდაპირველი მოპირკეთება სხვა ფასადების ანალოგიური უნდა ყოფილიყო.

გალერეის იატაკი ბეტონისაა მოლესილი ცემენტის ხსნარით. სავარაუდოდ იატაკის ფენილი გვიანი შეკეთების პერიოდს განეკუთვნება, ამას გვაფიქრებინებს ბეტონის აუთენტურისაგან (აუთენტური ბეტონის იატაკი საჯინიბოს ინტერიერში, დასაველეთის ნაწილშია შემორჩენილი) განსხვავებული ტექსტურა. თუმცა გალერეის იატაკი თავდაპირველადაც ბეტონის უნდა ყოფილიყო.

საჯინიბოს გადაგეგმარებისას, ინტერიერში მოუწყვიათ ფიცრის იატაკი, რომელიც ძველს ფარავს, თუმცა დასაველეთით არსებული ბეტონის იატაკი გვაფიქრებინებს, რომ შენობის შიდა სივრცეში იატაკი მთლიანად ბეტონის უნდა ყოფილიყო (რეაბილიტაციის პროექტში, ფიცრული იატაკის გახსნის შემდგომ, დაზუსტდება პირველადი იატაკის კონსტრუქცია).

ბეტონის ფილა გადალესილია ცემენტის (მორკინვის ტექნოლოგიით) ხსნარით.

საჯინიბოს შიდა ტიხრები (გვიანი გადაკეთების პერიოდის) ხის კონსტრუქციაზე შეკიდული ფანერის („დსპ“) პანელებითაა მოპირკეთებული.

საჯინიბოს სხვენის და ფასადების სარკმლები (ფრამუგები) აუთენტურია.

შენობის სახურავი კრამიტისაა (დღევანდელი კრამიტის ფენილი რემონტის პერიოდისაა), რომელიც თავდაპირველი „მარსელის“ კრამიტის მსგავსია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. შენობის საპირკველზე ზემოქმედებს ზედაპირული წყლები. ნალექების ზეგავლენა დიდია, იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტი ჭარბნალექიან კლიმატურ ზონაშია. საფუძველზე შეინიშნება ჭარბი ტენიანობა, ნალესობის დაბზარვა, ლიქენები და სხვ.
არსებული პრობლემის მოსაგვარებლად ვფიქრობთ საჭიროა საჯინიბოს გარე პერიმეტრზე სადრენაჟე არხის მოწყობა და ნაჟური წყლის კედლებიდან აცილება. საპირკველი გარედან უნდა დამუშავდეს ჰიდროიზოლაციით.
წყალი აზიანებს ბეტონის იატაკს. შენობიდან წყლის აცილების შემდგომ სასურველია ფილის ჰიდროფობიზაცია და გამომშრობის პროცესის რეგულირება. რეაბილიტაციის აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდგომ იატაკის დამუშავება და მოპირკეთება (იხ. სპეციფიკაცია პ. 10)
2. ფასადის ხის კედლები დაზიანებულია. ხე ეროზირებულია. განსაკუთრებით ძლიერია დაზიანებები საფუძველთან ხის შეხების ადგილას შენობის მთელ პერიმეტრზე, იქ სადაც ნალექის ზეგავლენა უფრო ინტენსიურია. ფასადებზე დამცავი საღებავის ფენა დაზიანებულია. საჭიროა ხის ზედაპირის რეაბილიტაციის ღონისძიებები, რომლებიც მოცემულია 1 პუნქტში და ფასადის მოპირკეთების აღდგენა ადგილზე არსებულის მიხედვით (ხეზე გადაკრული ტკეჩი და ცემენტის ნალესობა) პ. 12
3. მარნის კრამიტის საბურველი ხავსითა და მიკროორგანიზმებით არის დაფარული, ეს ორგანიზმები აზიანებს კრამიტის საფარს, ქმნიან რა კრამიტის დაძვრის და ნალექის შენობაში ჩადინების წინაპირობას. აუცილებელია კრამიტის ზედაპირის

დამუშავება (პ. 3) და შემდგომ, ანალოგიური ღონისძიების გატარება გარკვეული პერიოდულობით.

4. სახურავის კონსტრუქციების ექსპლუატაციის გახანგრძლივებისა და გაჯანსაღების მიზნით აუცილებელია პ. 27 მოცემული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება
5. უნდა მოიხსნას სამხრეთის ფასადზე დამონტაჟებული ფანერის („დსპ“) მოპირკეთება პ. 11
6. სარეაბილიტაციო პროექტში დამუშავდება მარნის შიდა საინჟინრო კომუნიკაციები, კერძოდ: ელ მომარაგების, კონდიციონერების, გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტები.
7. ვფიქრობთ შენობაში შეიძლება მოეწყოს პერიოდული ექსპოზიციები. კერძოდ: მუზეუმში დაცული ექსპონატების დროინდელი საინჟინრო ტექნიკის, სამანქანო და სოფლის მეურნეობის იარაღების და დანადგარების ფოტოგამოფენები; მანქანა-დანადგარების ორიგინალი თუ ასლი ნიმუშების გამოფენები; დოკუმენტების და ნახაზების ექსპოზიციები; დოკუმენტური ფილმების ჩვენება; საქართველოს წარსული პერიოდის სოფლის ყოფა-ცხოვრების, სოფლის მეურნეობის და სხვ. დოკუმენტური მასალა.
8. აუცილებელია შენობის პირვანდელი სახის სრულად აღდგენა, ძველი გეგმარების და თავდაპირველად გამოყენებული სამშენებლო მასალების სრული რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება.

სასიმიინდე

არსებული მდგომარეობის აღწერა

სასიმიინდე დასაველეთ საქართველოში მეტად გავრცელებული, ამ კატეგორიის სამეურნეო ნაგებობების ტიპური ნიმუშია. ის მაღალ ქვის სვეტებზე შემომდგარი ხის ოთხკუთხა ნაგებობაა. სასიმიინდეს დასაველეთის ფასადზე დატანებული აქვს მცირე ზომის სარკმელი. ფასადზე ხის ჰორიზონტალური ლარტყებით კიბის საფეხურებია მოწყობილი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების ხის ფიცრულზე სავენტილაციო ღარებია ამოჭრილი. სასიმიინდე გადახურულია ხის კონსტრუქციაზე დაფენილი ბრტყელი კრამიტით.

სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია

სასიმიინდეს სვეტები სუფთად გათლილი ქვისაა.

სანახი სვეტების თავებზე ამოჭრილ ღარებშია ჩადგმული, ის მაგარი მერქნის ხისგანაა დამზადებული. კუთხეებთან ფიცრები ერთმანეთთან ჭდობით არის გაკავშირებული. სასიმიინდე გადახურულია ხის კონსტრუქციით. საბურველი ბრტყელი ე.წ. მარსელის კრამიტია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. სასიმიინდეს ხის კონსტრუქციები (კედლები, გადახურვა) დაზიანებულია, შეიმჩნევა ხის ეროზია და ჩრდილოეთის ფასადზე სოკოვანი წარმონაქმნი. საჭიროა ხის დამუშავება -ზედაპირიდან ლიქენების მოცილება, შემდგომ ხის ქიმიური დამუშავება, ცვილით გაუღმთვა, ანტისეპტირება-ანტიპერიღება.
2. სახურავის ნივნივები და შეფიცვრა გარემონტებისას შეუცვლიათ. რეაბილიტაციისას სახურავის კონსტრუქცია უნდა აღდგეს თავდაპირველი სახით. ხის ელემენტები გაიჟლინთოს და დამუშავდეს.
3. აუცილებელია კრამიტის ზედაპირის დამუშავება (პ. 3) და შემდგომ, ანალოგიური ღონისძიების გატარება გარკვეული პერიოდულობით.

ქარის ძრავა

არსებული მდგომარეობის აღწერა

ქარის ძრავა იმ პერიოდის საქართველოში, ამ ტიპის ერთადერთი საინჟინრო ნაგებობა იყო. ძრავის ბეტონის ფუნდამენტის სამშენებლო წარწერაზე ამოკვეთილია თარიღი, რითაც ირკვევა, რომ ქარის ძრავა აგებულია 1910 წლის 10 მაისს. ეს არის ფოლადის ანძაზე დამონტაჟებული დანადგარი, რომელიც ქარის ზეგავლენით ბრუნავდა, მოყავდა რა მოძრაობაში მექანიზმი და შესაბამისად წყლის ტუმბო, ჭიდან წყლის ამოსაღებად. ანძა შედგება ფოლადის ფერმებითა და მოქლონებით შეკრული კონსტრუქციისაგან. ქარის წისქვილის ფრთებიც ერთმანეთთან ფოლადის დამოქლონებული სარტყელებითაა დაკავშირებული.

დღეს ძრავა უმუქმედოა.

ფოლადის ანძაზე და ძრავის ელემენტებზე შეიმჩნევა კოროზია.

სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია

ანძა და ძრავის მექანიზმი მთლიანად დამზადებულია ფოლადისაგან. ფუნდამენტი ბეტონისაა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. ძრავის ფოლადის ყველა ელემენტი უნდა გაიწმინდოს საღებავისაგან. დაიფაროს ანტიკოროზიული ფენით და შეიღებოს
2. შესაძლებელია ძრავის მექანიზმის აღდგენა და ამოქმედება
3. რესტავრაცია უნდა გაუკეთდეს ჭის ბეტონის წრიულ საფარს

ალაყაფის კარი.

არსებული მდგომარეობის აღწერა. სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია.

ალაყაფის კარი მუზეუმის სხვა ნაგებობების თანადროულია და თითქმის უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე. (გვიანდელია ქვის სვეტებზე დადგმული განათების ფარნები) ალაყაფი შედგება ჭიშკრისა და მცირე კარისაგან. ის ორი მეტრი სიმაღლის კონსტრუქციაა. ჩარჩო შედგენილია კვადრატული მილით. ალაყაფის სიბრტყე მრგვალი ფოლადის ღეროებისგანაა აკრეფილი, რომლებიც ჩარჩოშია გაყრილი. ფოლადის ელემენტები ერთმანეთთან მოქლონებითაა დაკავშირებული.

ალაყაფი, ფოლადის ანკერებით, ქვით აგებულ ოთკუთხა სვეტებზეა შეკიდული.

სვეტები გალესილია ცემენტის ხსნარით და შემდგომ შეღებილია. შუა სვეტზე ნიკო ნიკოლაძის საოჯახო ექსლიბრისია გამოსახული.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. ალაყაფის კოლონების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ზედაპირის დამუშავება ფითხით. დაგრუნტვა. შეღებვა.
2. ალაყაფის ფოლადის ელემენტების გაწმენდა საღებავის ფენისაგან, ანტიკოროზიული დამუშავება, დაგრუნტვა, შეღებვა

ტერიტორიის ელექტრო განათების ფარნები.

არსებული მდგომარეობის აღწერა. სამშენებლო მასალა და ტექნოლოგია.

ალაყაფის კართან, მთავარი გზის გასწვრივ და მუზეუმის ეზოში შემორჩენილია აუთენტური ელექტრო განათების ფარნები. ფარნის ღერო ცილინდრული მილისაა, რომელიც დაფუძნებულია თუჯის რვაკუთხა მოყვანილობის ცოკოლზე. თვით პლაფონი კონუსური მოყვანილობისაა.

ალაყაფთან მდგარ ორ ფარანს ზედა ნაწილი აკლია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია. რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის

1. ალაყაფის ფარნების აღდგენა
2. ლითონის ელემენტების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან, ანტიკოროზიული დამუშავება, დაგრუნტვა, შეღებვა
3. ელგაყვანილობის მოწყობა

მუზეუმის სხვა ნაგებობები და მცირე არქიტექტურული ფორმები

მუზეუმ-კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტით შესრულდება შემდეგი სამუშაოები:

1. ტერიტორიაზე მთავარი გზის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს გზის თავდაპირველი საფარის აღდგენას

2. ტერიტორიაზე ელგანათების პროექტის დამუშავება. დამატებით ელგანათების ფარგლების მონტაჟი ძველის ანალოგიით
3. ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ბიუსტების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი
4. დენდროლოგიური პროექტი, რაც გულისხმობს მოჭრილი და დაზიანებული ნარგავების განახლებას, გამწვანების ახალი კერების მოწყობას
5. მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტი, რაც გულისხმობს საჩრდილობლების, საპარკე სკამების და სხვ. საპარკე აქსესუარის მოწყობას
6. ტერიტორიის პერიმეტრზე ახალი ღობის პროექტი

მუზეუმის განვითარების კონცეფცია

მუზეუმის განვითარებისათვის, ზემოთ აღწერილი კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი რესურსის გამოყენება, როგორცაა მუზეუმის ექსპოზიციის და განსაკუთრებით ნიკო ნიკოლაძის მიერ შეგროვილი მანქანა-დანადგარების, ნარგავების და სხვ. ნივთების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის საშუალებით.


უნდა შეიქმნას ნიკოლაძის მუზეუმის მრავალენოვანი ვებგვერდი, სადაც თემატურად მოცემული იქნება ექსპონატთა სრული აღწერა და ფოტო გალერეა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულია ე.წ. თემატური ტურიზმის სფეროები. მუზეუმის ექსპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მოიცავს მანქანა-დანადგარებს ვფიქრობთ დიდ პოპულარობას მოიპოვებს.

მუზეუმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ზემოთ აღწერილი თემატური ექსპოზიციების გამართვა, რომელიც ყოფილი თავლის შენობაში განთავსდება.

სასურველია მუზეუმის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია საგანმანათლებლო კერებში. აგრეთვე სამეცნიერო თემატური კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზება.

არქიტექტორი გ. ციციშვილი



სარეაბილიტაციო სამუშაოთა სპეციფიკაცია

- 1 ხის ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. გაშლენთვა ცვილით. ანტისეპტირება-ანტიკვირება. შეღებვა
- 2 კედლის ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ზედაპირის დამუშავება ფითხით. დაბრუნტვა. შეღებვა
- 3 კრამიტის ფენილის მემანიკური გაწმენდა. ქიმიური დამუშავება
- 4 კედლის ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. სარდაფის კედლებზე (მიწისქვეშა ნაწილის ჩათვლით) ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობა. კედლების დაბრუნტვა-შეღებვა. შენობის გარე კერიმეტრზე საღრენაშო არხის მოწყობა
- 5 ბეტონის საფეხურების ჰიდროფობიზაცია
- 6 ძვის ელემენტების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ჰიდროფობიზაცია. დაბრუნტვა. შეღებვა
- 7 ხის ელემენტების აღდგენა
- 8 ლითონის ელემენტების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ანტიკოროზიული დამუშავება. დაბრუნტვა. შეღებვა
- 9 ლითონის ცხაურის აღდგენა აუთენტურის ანალოგიით
- 10 ბეტონის იატაკის ზედაპირის აღდგენა. დანაკლისი აღბილების ცემენტის ხსნარით შევსება. მოკინვა
- 11 ბვინი პერიოდის დაზანებული კანელების დემონტაჟი (შესწავლის შემდგომ კირველადი კედლების აღდგენა)
- 12 აუთენტური კედლის სამშენებლო სტრუქტურის შესწავლა და რესტავრაცია
- 13 ალკაფის კოლონების კედლის ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ზედაპირის დამუშავება ფითხით. დაბრუნტვა. შეღებვა
- 14 ალკაფის ლითონის ელემენტების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ანტიკოროზიული დამუშავება. დაბრუნტვა. შეღებვა
- 15 ელბანათების ფარების რესტავრაცია. კომპლექსის ტერიტორიაზე დამატებითი ფარების გონტაჟი კველის ანალოგიით
- 16 ნაბეგობის დემონტაჟი
- 17 ძარის ძრავის რესტავრაცია. მემანიკის აღდგენა
- 18 თავდაპირველი გზის საფარის აღდგენა
- 19 ნიკო და ბიორბი ნიკოლაქების ბიუსტების რესტავრაცია (კოლსტამენტის რემონტრუქცია. ბიუსტის გაწმენდა)
- 20 მოჭრილი და დაზიანებული ნარბავეების აღბილზე ახალი, ანალოგიური ნარბავეების გაშენება
- 21 სასიგინდის რეაბილიტაცია (ხის კონსტრუქციების გაშლენთვა ცვილით, ანტისეპტირება-ანტიკვირება, კონსერვაცია. კრამიტის ფენილის გადაწყობა)
- 22 ლითონის აივნის რესტავრაცია (ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ანტიკოროზიული დამუშავება. დაბრუნტვა. შეღებვა)
- 23 ბეტონის ფილის ჰიდროფობიზაცია და ზედაპირის აღდგენა. დანაკლისი აღბილების ცემენტის ხსნარით შევსება. მოკინვა
- 24 კედლებიდან ეროზირებული და დაზარალებული ნაღესობის დემონტაჟი. ნაღესობის აღდგენა. ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ზედაპირის დამუშავება ფითხით. დაბრუნტვა. შეღებვა
- 25 ლითონის ელემენტების ზედაპირის გაწმენდა საღებავის ფენისაგან. ანტიკოროზიული დამუშავება. დაბრუნტვა. შეღებვა
- 26 წყლის ჰის ამოსუფთავება
- 27 სახურავის ხის ელემენტების გაშლენთვა ცვილით. ანტისეპტირება-ანტიკვირება.
- 28 ტერიტორიის და ნაბეგობების ინფრასტრუქტურის პროექტი (ელემენტარაგება, წყალმომარაგება, კანალიზაცია. შენობების კონსერვაცია, გათბობა)
- 29 საზოგადოებრივი ტუალეტის პროექტი



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან




სამხრეთის ფასადი. შრაბენტი



ხედი დასავლეთიდან



მანსარლა. ფასადის შრაბენტი



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



პორტალი. იატაკის კონსტრუქცია



სამხრეთის აივანი. შიდა სივრცე




პორტალი. სახურავის კონსტრუქცია



ფასადი. ურავმენტი



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. ურავმენტი



კრამიტის ბაღახურვა



ცოკოლი. დაზიანებული ხის კონსტრუქცია



ცოკოლი



პორტალი. I სართული. ელვანი



პორტალი. I სართული. ხედი შიდა სივრცეიდან



სამხრეთის აივანი



სამხრეთის აივანი



სამხრეთის აივანი



მანსარდა. სამხრეთის აივანი



ჩრდილოეთის აივანი



ჩრდილოეთის აივანი



წვიმის საფინარი მილი



სამხრეთის ფასადი. წრიული სარკმელი



სარდაფში ჩასასვლელი



ბამანაწილებელი ღეროვანი



სამხრეთის აივანკვება კედლის ქვის წყობა



ბამანაწილებელი ღეროვანი



მარანი



მარანი



საბავშვო ჰიტი



საკუპნარი



მანსარლში ასასვლელი ხის კიბე



პოლი



პოლი



კაბინეტი



ნრდილოეთის უშუაგანლი



დასავლეთის ღერეუანი



სახაღილო ოთახი



სააბაზანო



საწმენდი



კოლი



კოლი. განათების ზანარი



კოლი



საბილუ




საბილუ





საბილუ



სახურავის ხის კონსტრუქცია







ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



კრამიტის სახურავი



ლოჯია



ლოჯია. პეტონის იატაკი



საწინახელოს ოთახი. პეტონის იატაკი



საწინახელოს ოთახი. პეტონის იატაკი



ოთახი გუბრიძე



აღმინისტრაციის ოთახი



აღმინისტრაციის ოთახი



დასაგლათის კუთხის მცირე ხათავსო



აღმინისტრაციის ოთახი. გვიანი იატაკი



დასაგლათის კუთხის მცირე ხათავსო




საწინააღმდეგო ოთახი. გუბრიძის იატაკი



ლოჯია




მთავარი ფასადი



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან



ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან



მთავარი ფასადი. ურამშენტი



კრამიტის სახურავი



ბაღერა. ურამშენტი



ბაღერა. ურამშენტი



ბაღერმა. ხის კოლონა



ბაღერმა. ჰერის ხის კონსტრუქცია



ბაღერმა. ჰერის ხის კონსტრუქცია



ბაღერმა. ჰერის ხის კონსტრუქცია



ბაღერმა. ხის კოლონა



ბაღერმა. ხის კოლონა



სარკმელი



ბაღერმა. ჰერის ხის კონსტრუქცია და კედლის გვიანი დაზარალებული მოკირკეთება



ჩრდილოეთის ფასადი



ჩრდილოეთის ფასადი. ურამენტი



აღმოსავლეთის ფრონტონი



ცოკოლის კონსტრუქცია



ცოკოლის კონსტრუქცია



ფასადის მონტირება



ფასადის მონტირება



კვლევი კარები

აღმავის კარი



ელბანათების უნარი

სამეურნეო ნაგებობა





ქარის ძრავა. ანძა



ქარის ბორბალი



ქარის ძრავა. ანძა. ფრაგმენტი



წყლის ჰა



ანძის ფუნდამენტი მშენებლობის თარიღით



წყლის ჰა



წყლის ჰა და ბეტონის ფილა



ნიკო ნიკოლაძის პიუსტი



სასიბინდე

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის (დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის რეაბილიტაციის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

ხარჯთაღრიცხვა

N	სამუშაოების ჩამონათვალი	ღირებულება ლარებში
I ეტაპი		
1	განმარტებითი ბარათი	375.00
2	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა	625.00
3	ტოპოგრაფიული გეგმა	1875.00
4	ფოტოფიქსაცია	250.00
5	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომი	5000.00
6	შენობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები	625.00
7	ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა	2500.00
8	რეკომენდაციები სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი მეთოდოლოგიის და გამოსაყენებელი სამშენებლო მასალების შესახებ	1500.00
9	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა	2500.00
10	არსებული წყალ-კანალიზაციის სისტემის კვლევა	375.00
II ეტაპი		
1	არქიტექტურული პროექტი	6250.00
2	კონსტრუქციული პროექტი	1875.00
3	წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტი	1250.00
4	სადრენაჟო სისტემის პროექტი	1250.00
5	ელექტრომომარაგების (შიდა და გარე ქსელის) მოწყობის პროექტი	1875.00
6	გათბობა-ვენტილაციის მოწყობის პროექტი	1875.00
7	ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი მცირე არქიტექტურული ფორმების ჩათვლით	1250.00
8	ნ. ნიკოლაძისეული ქარის ძრავის რეაბილიტაციის პროექტი	1875.00
9	სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია და კალენდარული გეგმა-გრაფიკი	625.00
10	ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობები და ხარჯთაღრიცხვა	625.00
11	ბეგლის სააღრიცხვო ბარათის შედგენა	500.00
12	ბეგლის პასპორტის შედგენა	750.00
	ჯამი	35625.00
	ზედნადები ხარჯები - 10%	3562.50
	ჯამი	39187.50
	მოგება - 8%	3135.00
	ჯამი	42322.50
	დღგ - 18%	7618.05
	ჯამი	49940.55

შპს "რესტავრატორები და კომპანია"-ს დირექტორი

თამაზ იაქაშვილი



ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის (დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის

კალენდარული გეგმა-გრაფიკი

N	სამუშაოების ჩამონათვალი	2013 წელი					
		IX		X		XI	
		I ეტაპი - 21903.75		II ეტაპი - 28036.8			
1	განმარტებითი ბარათი						
	საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა						
3	ტოპოგრაფიული გეგმა						
	ფოტოფიქსაცია						
4	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოში						
5	შენიშვნების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკონსტრუქციები						
	ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა						
8	რეკონსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი მეთოდოლოგიის და გამოსაყენებელი სამშენებლო მასალების შესახებ						
	სახელოვნებათმცოდნეო კვლევა						
10	არსებული წყალ-კანალიზაციის სისტემის კვლევა						
	არქიტექტურული პროექტი						
2	კონსტრუქციული პროექტი						
	წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტი						
4	სადრენაჟო სისტემის პროექტი						
	ელექტრომომარაგების (შიდა და გარე ქსელის) მოწყობის პროექტი						
6	გათბობა-ვენტილაციის მოწყობის პროექტი						
	ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი მვირე არქიტექტურული ფორმების ჩათვლით						
8	ნიკოლაძისძველი ქარის მრავის რეაბილიტაციის პროექტი						
	სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია და კალენდარული გეგმა-გრაფიკი						
10	ჩასატარებელ სამუშაოთა მოცულობები და ხარჯთაღრიცხვა						
	ბეგლის სააღრიცხვო ბარათის შედგენა						
12	ბეგლის პასპორტის შედგენა						

შპს "რესტავრაციული და კონსერვაცია"-ს დირექტორი
 ივანე იაქაშვილი

